



N 21/7303
30/11/2022

7303-21-2-202211301627



შპს „ჰაიდრო ინვესტ ჯი ეს“
მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N6 (ნაკვეთი 42/169)
კორპუსი 1, სართული 1, ბინა N6

ელ. ფოსტა: g.margebadze@hydroinvest.ge

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი №4106 განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხენისწყალზე 21,85 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ცხენისწყალი 1 ჰესის) მშენებლობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშში თევზსავალის ჰიდრავლიკური გაანგარიშების ცხრილში (გვ. 26) არ არის განსაზღვრული სიმძლავრის მოცულობითი გაფანტვის სიდიდე. ასევე, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ წყალმიმღების გისოსებში წყალი იმოდრავებს მდორედ, მაგრამ არ არის მოცემული სათანადო გაანგარიშება და რეინოლდსის რიცხვის მნიშვნელობა აღნიშნულის დასაბუთებისთვის. ამასთან გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ არ არის დასაბუთებული თევზამრიდი მოწყობილობის გამოუყენებლობის საკითხი. გარდა აღნიშნულისა გაცნობებთ, რომ „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #423 დადგენილების თანახმად, წყალამღები ნაგებობები, წყალაღებით არანაკლებ 5000 კუბ.მ დღე-ღამეში აუცილებელია აღჭურვილი იყოს თევზამრიდი ნაგებობა-მოწყობილობებით.
- ეკოლოგიური ხარჯის გასატარებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სპეციალური გამშვების გამოყენება, რომელიც ავტომატურ რეჟიმში, მუდმივად უზრუნველყოფს სათანადო წყლის გატარებას, რაც არ არის განხილული გზშ-ის

ანგარიშში. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ;

- გზმ-ის ანგარიშში ტომში II-ში (გვ. 50) აღნიშნულია, რომ მილსადენის ტრასაზე გამოვლენილია 8 გვერდითი ღვარცოფული ხევი. პროექტით გათვალისწინებულია მილსადენისთვის დაცვის საინჟინრო ღონისძიებები, რომელიც აღწერილია გზმ-ის ანგარიშის I ტომში. დოკუმენტში, გვ. 34-ზე მოცემულმა კონსტრუქციამ საეჭვოა უზრუნველყოს არა მხოლოდ ღვარცოფული ნაკადის, არამედ წყლის საშუალოწლიური ხარჯის უსაფრთხო გატარება. შესაბამისად აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია და საჭიროებს დასაბუთებას;
- გზმ-ის ანგარიშში მდინარის კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმე განსაზღვრულია 3% და 0.5% უზრუნველყოფის ხარჯებისათვის, რაც შეუსაბამობაშია ძირითად საპროექტო პარამეტრებთან (1% საანგარიშო ხარჯი);
- წარმოდგენილი არ არის მდინარის კალაპოტის გარეცხვის სიღრმის გაანგარიშებები;
- გზმ-ის ანგარიშში არ არის მოცემული მდ. ზესხოს ხარჯებისა და დონეების დამოკიდებულების მრუდი და გარეცხვის სავარაუდო სიღრმეები საპროექტო საავტომობილო ხიდის გასწორისათვის;
- გზმ-ის ანგარიშში სადერივაციო მილსადენის ნახაზებზე (ტომი III) ნაჩვენებია წყლის დონეები ნიშნულებით, მაგრამ მითითებული არ არის კონკრეტულად რა უზრუნველყოფის წყლის ხარჯს შეესაბამებინან ისინი;
- შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში არ არის მოცემული ინფორმაცია სამშენებლო პერიოდში მდინარის გადაადგილებისას (ზღუდარების მოწყობა) თევზის რესურსებისათვის მიყენებული ზარალისა (დაღუპვის) და კომპენსაციის შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს იქთიოფაუნის კუთხით გამოვლენილი სენსიტიური მონაკვეთების (მონაკვეთი 1 და მონაკვეთი 2) შესახებ დეტალური ინფორმაცია, განსაკუთრებით ეკოლოგიური ხარჯის გატარების, აღნიშნულ მონაკვეთებზე არსებულ წყლისა და წყალზე დამოკიდებულ ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების ამ ზემოქმედების თავიდან აცილებისა და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თავი 3.3.6-ს მიხედვით სამშენებლო ბაზაზე მითითებულია საინჟინერო-მექანიკური და სადურგლო სამუშაო, რომლის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები დოკუმენტაციაში გათვალისწინებული არ არის, შესაბამისად აღნიშნული საკითხი მოითხოვს დაზუსტებას და საჭიროების შემთხვევაში გზმ-ს ანგარიშსა და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) პროექტში შესწორების შეტანას;
- სამშენებლო ბაზა №1-ში განთავსებული ბეტონშემრევის და სამშენებლო ბაზა №2-ში განთავსებული სამსხვრევის ერთიანი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) პროექტი საჭიროა წარმოდგენილი იყოს ცალ-ცალკე

ობიექტებისთვის (სამშენებლო ბაზა №1, სამშენებლო ბაზა №2), დაშორების მანძილის (მანძილი სამშენებლო ბაზებს შორის 5კმ) გათვალისწინებით და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №408 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად;

- ბიომრავალფეროვნების კვლევების ნაწილში, არ არის მითითებული ინფორმაცია გზმ-ის მომზადების პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ. ამასთან წარმოდგენილი კვლევები ეყრდნობა ლიტერატურულ მონაცემებს, თუმცა მითითებული არ არის კონკრეტული ლიტერატურული წყაროები. მაგალითად: დოკუმენტში არ არის დასაბუთებული, კონკრეტულად რას ეყრდნობა დასკვნა რომ საპროექტო ტერიტორიაზე კალმახის გარდა სხვა თევზი არ არის აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია წარმოდგენილი რისკების, შემარბილებელი ღონისძიებების, თუ სხვა საკითხებზე დასაბუთებული მსჯელობა;
- დოკუმენტში არ არის შესწავლილი და გამოკვლეული უხერხემლო ცხოველთა თანასაზოგადოება როგორც წყლის, ისე ზემოქმედების მყოფი ხმელეთის ნაწილში. შესაბამისად შეუძლებელია ზემოქმედების ხარისხზე ან შემარბილებელ ღონისძიებებზე მსჯელობა უხერხემლო ცხოველებთან დაკავშირებით;
- დოკუმენტში მითითებული ტერმინის „გეოდინამიკურის“ გამოყენება ეგზოგენურ პროცესებთან მიმართებაში არამართებულია და გამოყენებული უნდა იქნეს „ეგზო-გეოდინამიკური“, ვინაიდან ტერმინი „გეოდინამიკა“ ბევრად მსხვილი მასშტაბის - ენდოგენურ პროცესებს მოიცავს;
- გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში, დასინჯვის ვიწრო ინტერვალში სავსე პირობებში უხეშნატეხოვანი გრუნტების გრანულომეტრიული შემცველობის განსაზღვრა პროცენტის მეთოდების სიზუსტით შეუსაბამოა და მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით სათანადოდ არ აღიქმება;
- საქართველოს კანონმდებლობით მცირე ჰესები (15 მგვტ-მდე სიმძლავრით) განეკუთვნება კაპიტალობის III კლასს, ხოლო წარმოდგენილი ჰიდროელექტროსადგური II კლასის ნაგებობებს უნდა მიეკუთვნოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, წყლის საანგარიშო მაქსიმალური სიდიდე (1% უზრუნველყოფის) სწორადაა განსაზღვრული, თუმცა არ არის აღნიშნული ინფორმაცია ე.წ. სამოწმებელი ხარჯის შესახებ (0.1% უზრუნველყოფის), რომლის გატარება ნაგებობების დაზიანების გარეშე უნდა იყოს შესაძლებელი;
- გზმ-ის ანგარიშში გვ. 51-ზე დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ: არასწორად არის მითითებული ფოთიდან და ბათუმიდან ტვირთების ტრანსპორტირების მანძილები. ასევე, 5.1.3.3. ცხრილში მითითებულია არასწორი ინფორმაცია, კერძოდ: სოფ. ლუჯის საგუშაგოზე დაკვირვება არ შეწყვეტილა 1980 წლიდან. დღეისათვის დაკვირვება ტარდება მდინარის წყლის დონეებზე ხიდის მოაჯირიდან ე.წ. „მუდმივი ჩასაზომი წერტილიდან“.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

